№ 183. აგვისტოს 23, ხუთშაბათი. 1866—1884 აგვისტოს 23, ხუთშაბათი. № 183.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების" რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების" ფასი სეკტემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 4 მ.

პანსიონი ა. მირზაშვილისა.

გადავიდა მლიხაველტინსკის ქუჩაზედ, ტერ-სააკოვის სახლებში, № 114.

მოწაფეთ მიღება სექტემბრის 1-დგან დაიწყობა. (10—1)

რადგანაც ჩემგან შედგენილს დრამატიულს დასს აკლია აქტიორ-აქტრისები, ამიტომ ვთხოვ ყველას, ვისაც აქვს სურვილი და შეძლება რომელიმე გვარი როლების აღსრულებისა, მობძანდენ ჩემთან მოსალაპარაკებლად დილის 7 საათიდამ 10-მდე და საღამოს 3—6-მდე ოსჩესტვენის ქუჩაზედ № 11. ამავე ადრესით მომმართონ თბილისის გარეშე მცხოვრებლებმა აქტიორებმა და ყოველ-ნაირი პიესების პატრონებმა თავიანთ პირობებით.

ალექსანდრე ნებიერიძე.

(5—1)

ოცს წელზედ მეტია, რაც მე ვყიდი ქუთაისში ხე-ტყის მასალას და არავისი არა მმართებს-რა. ეხლა მე მივდივარ სამზღვარს გარედ. ქ. ქუთაისს სცხოვრობს ჩემის სახელის, მამის სახელის და გვარის მბრძანე და აგრეთვე არა მცოდნე წერა-კითხვისა, როგორც მე. შინიცობაა, რომ რამე უგულისხმოება და ან სიყალბე აღმოჩნდეს, ამის მიხედვით ვიწვევ ყველას, ვისაც ჩემთან რამე საქმე აქვს და ვითხოვ განაცხადოს თვისი მოთხოვნილებანი ჩემდამო ერთის თვის განმავალობაში დღეიდან ქუთაისის საქალაქო სამსჯავროს (სუდის), გინა ნოტარიუსის საშუალებით. ამასთანავე ვაცხადებ, რომ არავინ, ჩემთან საქმის მქონემ, არ მიაქციოს ყურადღება ვადას ჩემთა პირობათა, თუ ვისმე მაგეთი კი აქვს, რადგანაც მე ვილებ ჩემს თავზე ეხლავე შევასრულო მაგეთი პირობები.

(3—2) აბრამა მოშას ძე ელიგულაშვილი.

## ბაქვის მაგალითი პოლიტიკაში

თბილისი, აგვისტოს 23-ს.

საკვირველი არ არის, რომ ფაბრიკებითა და ქარხნებით დატვირთულმა ინგლისმა მთელს დედამიწის ზურგზედ ფეხი მოიდგა და ჩრდილოეთ-ამერიკიდამ და ინდოეთიდამ დაწყებული ოკეანის შორეულ კუნძულებამდე თავისი ურიცხვი კოლონიები გააშენა. ინგლისს შედარებით ისეთი მცირე კუნძული უპყრია ევროპაში, ისე გაძლიერებულია იმის ფაბრიკებისა და ქარხნების წარმოება, რომ თვისის ურდავის ნაწარმოებისა და შრომის მოყვარე ხალხისათვის ყოველ მხარეს გზა უნდა გაეკვალა და ბინა მიეცა. ასე იქცეოდა და იქცევა ინგლისი და მრავალნი თუმცა კიცხვენ მას ამგვარი ეგოისტური პოლიტიკისათვის, მაგრამ ეს ეგოისტური პოლიტიკა შედეგია მისის ეკონომიური ცხოვრებისა.

ინგლისის დაფნის გვირგვინნი კოლონიურ პოლიტიკაში მოსვენებას არ აძლევენ სხვა სახელმწიფოებს და ისინიც ცდილობენ ამ გვარივე პოლიტიკის მიდევნას, თუნდ ეს პოლიტიკა მათთვის უდროოც იყოს და მავნებელიც.

ეს რამდენიმე ხანია, რაც უცნაური სახელები ჩინეთის დიპლომატებისა და ნავთსადგურებისა თვალებს უჭრელებენ მკითხველებს და უნებურად აფიქრებინებენ ადამიანს, შინ რომ ცოლ-შვილი გტიროდეს, გარედ ტაბლას რა ხელი აქვსო. როდესაც ინგლისის ხალხს ყოველ წლივ 15 პროცენტით ემატება მცხოვრებლების რიცხვი, საფრანგეთში ეს რიცხვი მხოლოდ ცოტა ზევით არის 2 პროცენტზედ და აი თითქო საფრანგეთის გამგებელთ ცხოვრების საგნად გაუხდიათ ეს 2 პროცენტიც ჩინეთისა და სხვა შორეულ ზღვებში გაჰფანტონ და იქ შეაკლან ჩინელებს უწყალო და გამოუსადეგარ ომში.

დღემდის კიდევ იმედი ჰქონდათ, რომ ამ უცნაურს შეტაკებას საფრანგეთისას და ჩინეთისას როგორმე მშვიდობით მოელევოდა ბოლო. იქნება, ჩინეთის გაეშმაკებულ დიპლომატებს ეხლაცა ჰქონდეთ ამის იმედი, რადგან ჯერ ოფიციალურად ომი გამოცხადებული არ არის, მაგრამ ეს კი სარწმუნოა რომ თუ ოფიციალური არა, ნამდვილი ომი მაინც დაიწყო; ადმირალმა კურბემ შემუსრა ფუ-ჩე-უს არსენალი, რამდენიმე ჩინეთის გემი დალუპა და საფრანგეთის ზღვათა მინისტრმა სიხარულით მიულოცა ძლევამოსილს კურბეს ესეთი გამარჯვება.

სასაცილოა ეხლანდელი დიპლომატიური ენა: მთავარ-სარდლები და ადმირალები ჯარს ათასობითა ხოცვენ, არსენალებს ძირეულად ანგრევენ, გემებსა ღუპვენ, გამარჯვებისათვის მოლოცვა მოსდით და ომი კი ჯერ არ დაწყებულაო, გვარწმუნებენ ოფიციალური გაზეთები...

ჩინეთთან ომზედ უფრო გასაოცარია და სამწუხარო ფიქრების აღმძრავი დიპლომატიური შეტაკება ორის განათლებულის ევროპიულის სახელმწიფოსი. ძლიერი ინგლისი და არა ნაკლებად ძლიერი გერმანია ქიშპობენ ეხლა ერთს უბრალო, ხრიოკ ადგილზედ, რომელიც აფრიკის დასავლეთის ნაპირზედა სძევს და რომელსაც უცნაური სახელი ანგრა-პეკენა ჰქვიან. ერთი სატირიული ფელეტონი ამბობდა, რომ ამ ანგრა-პეკენაში ფრინველის განავლისა და ქვიშის მეტი არაფერი არის-რაო და ვგონებთ, არა თუ სატირიული ფელეტონის ავტორი, სხვა უფრო სინიდისიერი გამომკვლევლნიც მეტს ვერაფერს ვერას იპოვიდენ. და აი ამ ქვიშიანი ზღვის ნაპირისათვის

## «დროების» ფელეტონი, აგვისტ. 23

### სოფლური ფელტონი

(აწინდელ კახეთზედ და კუხეთზედ)

რიაქრაქი დაიწყო. მე მეგონ ქვეშ ერთგული ნაბადი გაღაღანებულ და ძვირფას ხალიჩაებ ამწვანებულ მოლზედ ცივის მთის ერთს პოეტურს ალაგას. მთის დაბალი, ხუჭუჭი, ხშირი და ყვავილოვანი ბალახი უხვად იყო დანამული მარგალიტის მსგავსის ცვარით. გარშემო ისმოდა ცხვრის და ძროხის ბღავილი, ძაღლების ყეფა, მწყემსთ ხმაურობა და კამკამა მთის ცივ წყაროთ ჩხრიალი.

ეს მშვენიერი მდელო თავისი უხვი ცივი წყაროებით და ჰაერით იზიდავს იმ თავითვე კახეთის და კუხეთის სოფლებიდან ცხვარსა და ძროხას, როგორც მეტად მდიდარი საზაფხულო საძოვარი და მშვენიერი საიალაღო ადგილი. მამა-პაპითვე სათემო საკუთრების წესზე ჰქონდათ ამ ორივე ქვეყნის სოფლებს დანაწილებულნი ეს ცივის კენწეროնი და უწოდებდენ: „სავარდის უბნო ცივს", საგიორგიწმინდოს, საგარეჯოს ცივი, მანავისა, კისის-ხევისა და სხვა და სხვა... ეხლა კი მეტყევეების წესით შეიცვალა ეს სახელები და იწოდებიან: «Вардисубанская дача» Георги-цминдская, Кисисхевская და სხვ... მწყემსები ეხლა „ლესნიჩის" ბილეთით ადიან საზაფხულოდ ამ თავიანთ უწინდელ სათემო საძოვარ მთებზედ, მაგრამ დღესაც არ ივიწყებენ ნაწველის და შრომის განაწილების იმ წესებს, რომელნიც არიან შედეგნი უწინდელ სათემოდ საძოვრის მფლობელობისა და არიან მეტად შესანიშნავნი. საზაფხულო და სათემო საძოვარნი „ცივისანი" «თრიალეთისანი» და „კავკასიონისანი" უნდა იყვნენ მიზეზნი იმ ძროხისა და ცხვრის გადაჭრილ ფასად მიღებისა; რაიცა ცხადად გამოსჭვირს, შესამჩნევია დღესაც ქართველთ აწინდელ ცხოვრებაშიაც, წარსულ ისტორიაში და კანონ-მდებლობაშიაც. როგორც ძველად, მაგალითად, რომში ფულს ერქვა საქონელი (pecuriae), ისე ჩვენში ფული იგივე საქონელია. თუმანი ვერცხლი და ერთი ძროხა ტოლნი იყვნენ. მემართა მე კახელს კახელისა ორი თუმანი, საზაფხულო საძოვარზე—სათემო ცივზედ რო ავიდოდით, იმას შეეძლო ორი ჩემი ძროხა აეყვანა თავის ველში და თამასუქი (თუმც ეს ახალი მანქანების მოგონილია) გათილამდებოდა...

მაგრამ, ეჰ! ჩემს გონებას ეს მოსაზრებანი არ იზიდავდენ იმ რიაქრაქის დროს. ჩემს თვალ-წინ იყო ძირს გაჰიმული მშვენიერი კახეთი—ველი ალაზნისა—თიონეთიდან დაწყებული ნოხპოტომდე! მშვენიერ ორ სოფელ მარლის და მარადიდან დაწყებული, ვიდრე შუა საინგილომდე დაბლობი ამ ველისა ზღვასავებ იყო დაფენილი ღრუბლის ტალღებით, რომელთაც რიაქრაქის გამო ალიაქოთი ემატებოდათ და აუწერელ, მშვენიერ ფიგურებად მიესწრაფებოდენ შეუშფოთებრივ თვალ-აუწვდენელ სიმაღლიდან «გადმომზირალ», ქედით შერთულ კავკასიონის მთების ნაპრალთ შორის შესამალად!.... «წამოვყელყელავდი» ცოტა და გავხედე დასავლეთს... სამხრეთს...—აქ ჩანდა კუხეთი თავისი ივრისხეობით... ფუსტულა მოტიტვლებული მინდვრებით, შავ-ზოლებად გასმულ ანეულებით ყვითელ ნაწვერლების ანუ ნამკლების ფონზედ. ცოტა მოშორებით ნისლ-წაკრული ხაზი მტკვრისა—ვრცელი ყარაიათი გადმა ბორჩალოს და ხრამის პირ-დაღებულნი ხეობანი—ზევით თბილისი თავის განუშორებელი ბუნდოვანის სვეტით მთაწმინდის ფეხთით თვით თხემამდე; არაგვის-ხეობა—სარკინეთის მთების შემოხაზულებაც კი გამოსჭვიროდა ჰაერში! ეს უზარ-მაზარი ჰორიზონტი სამშობლოს ქვეყნისა მოჩანდა ცივის მთის ერთ კენწეროდან, რომელიც ხალხის მიერ წოდებულია «დედოფლის-წყაროდ»... „დედოფლის-წყარო», რასაკვირველია, თამარისა, რომელსაც ჰქონია განვითარებული გემო სადგომი ალაგების ამორჩევისა; იქვე სიღრმეში მოჩანდა მონასტერი შუამთა, ახლოვე ატუხულა განმარტოვებით მაგარი ციხე ბოჭორმა, რომლის ფერხქვეშ ღრიალებს გაშმაგებული იორი... ცოტა უფრო აქეთ მთა, სადაც ჰქონია სასახლე, ხალხის გადმოცემით ბორგალ „ხელმწიფეს" (ბორგ-

ლამის ინგლისმა გერმანიას ომი გამოუცხადოს, რადგან გერმანიის ქვეშევრდომთ ინგლისის დროშა ჩამოუგლეჯიათ და გერმანიისა აუმართავთ.

მაგრამ ამ ხელების პოტინში და ერთმანეთის წეწვაში ყველაზედ უფრო სასაცილო ის არის, რომ საბრალო ოსმალეთსაც მოუწადნია, რომ სხვა «განათლებულ» სახელმწიფოებს უკან არ ჩამორჩეს და თითონაც შეიძინოს «კოლონიები». რაცა აქვს, ის ველარ შეუმაგრებია და მოუნდომნია არაბეთის იმ ნაწილების დაპყრობა, რომელნიც ჯერედ კიდევ დამოუკიდებელნი არიან.

მიბაძვა კარგის მაგალითისა კარგია, მაგრამ მიმბაძავმა ყოველთვის თავის მდგომარეობა იმის მდგომარეობას უნდა შეუწონოს, რომელსაცა ჰბაძავს. ეს ჭეშმარიტებაა ყველასთვის, როგორც კერძო ადამიანისა და საზოგადოებისა, ისე მთელის ხალხისათვის, მაგრამ ეს მარტივი ჭეშმარიტება ხშირად ავიწყდებათ მეტის-მეტის ხვეჭის სურვილით გატაცებულს პოლიტიკოსებს და სარგებლობას მოუტანს, თუ ვნებას ესეთი გულმავიწყობა მათგან განგებულს სახელმწიფოს, ამას მომავალი ადვილად გამოაჩენს.

## შინაური ქრონიკა.

— კარგა ხანია, რაც მოგროვილის და შემოწირულის ფულებით ქართული წიგნები იბეჭდება სხვა-და-სხვა პირთა ხელ-მძღვანელობით და ანგარიში-კი საყოველთაოდ არა ცხადდება. მეტი არ იქნებოდა, რომ „ვისრამიანის“ რედაქციას მაგალითი ეჩვენებინა და საზოგადოებისთვის დაენახვებინა, რა დაიხარჯა ამ მშვენიერს გამოცემაზედ და ან რამდენი ეგზემპლიარი დაიბეჭდა.

— ერთმა ხუმრობის მოყვარე პირმა გვიამბო, რომ ქართული დრამატიული დასის არტისტები ყოველ-დღე კოდელ ნინოსთან დადიან, რომ იმის მისნობის შემწეობით მაინც შეიტყონ, როდის ექნება დრამატიული საზოგადოების მმართველობას კრება და ან ვის მიმართონ პიესებისა და კოსტიუმებისათვის წარმოდგენის დროს, რადგან ყველა ესეები არც ახალს მმართველობას ჩაუბარებია, არც ძველის მმართველობის ხელშია თურმე.

— 1-ლის კლასიკური გიმნაზიის უკან, არსენალის ქუჩაზედ გაიმართა «ღარიბ გიმნაზიელთ შემწე საზოგადოებისაგან» იაფ ფასიანი სადგურები და სადილები მოწაფეთათვის. სახლები ბ. ნაზაროვისაა და სადილებიც მანვე უნდა გაუმართოს, რისთვისაც თვეში კაცის თავზედ თორმეტი მანეთი უნდა ეძლიოს. ამავე პირობის ძალით მმართველობა ვალდებულია ოცის შეგირდის ფული უეჭველად აძლიოს ბ. ნაზაროვს, იქნება, თუ არ იქნება მოთავსებული ეს რიცხვი შეგირდებისა იმის სახლებში.

— ამ დღეებში ორი ავაზაკობა მოხდა თბილისში. ერთი კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, სადაც ავაზაკები დასცემიან ზაქარა გორგაძეს სახლს, და მეორე ვერაზე, საცა ავაზაკებს დაუმტვრევიათ სახლის კარებები და წაუღიათ 175 მან. ამ უკანასკნელ ავაზაკებში, რომელნიც რიცხვით რვანი ყოფილან, მხოლოდ ოთხი დაუჭერიათ, დანარჩენები გაქცეულან.

— დუშეთის მაზრიდამ სწერენ გაზ. «ნოვოე ობოზრენიეს»: ივლისის გასულს ღამით დაეცნენ ავაზაკები თ. ხიმშიევის სახლს ს. ბულაჩაურში, მაგრამ მათი განზრახვა ვერ შესრულდა, რადგან სწორედ იმ დროს, როცა სამი მათგანი ბალკონზე ავიდა და კარებს მტვრევა დაუწყეს, დაუშინეს სახლიდამ თოფები და გარეკეს. ავაზაკები შვიდნი ყოფილიყვნენ. ამას გარდა, ამ დღეებში დაეცნენ კიდევ ღამითვე მღვდ. ჩიკაძეს სახლს, სოფ. საშაბუროში, მაგრამ ისევ ხელ-ცარიელები დარჩნენ. სახლში სძინებოდა ერთს ბებერს დედა-კაცს, რომელიც დროზედ გადამხტარიყო ფანჯრიდამ და ფეხზედ დაეყენებინა სოფელი. მღვდელი შეძლებულია და ამას წინად ერთის მოვალისაგან მიეღო კიდევ 2,000 მან. ავაზაკებს სულმა თურმე წასძლია და ამ ფულის მოტაცება მოუნდათ. მოხუცებულს მღვდელს შიშისაგან ენა მუცელში ჩავარდნია და რამდენიმე დღის განმავლობაში ენა-ჩავარდნილი ყოფილა.

## უცხოეთი.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ნაციონალურს კრებას, რომელიც ამას წინად იხილავდა ვერსალში კონსტიტუციას, ვიდრემდის მოშლიდა თვის სხდომებს, შემდეგი პეტიცია მიუღია იმ დედა-კაცების საზოგადოებისაგან, რომელსაც ეწოდება «საზოგადოება დედა-კაცთა ხმის მიცემისა».

ბატონთ კონგრესის წევრთა, ბატონებო! ჩვენ გვსურს მოგაგონოთ თქვენ დედა-კაცთა არსებობა, არსებობა, რომელსაც თქვენ განძრახ ივიწყებთ კონსტიტუციის გარდახილვის დროს. მაგრამ გაისარჯეთ და გაიხსენეთ, რომ დედა-კაცები შეადგენენ ნახევარს მთელის ნაციისას. პასუხის-მგებელ და თვით-მყოფ წევრთა საზოგადოებისათა, დედა-კაცთ, თანასწორნი უფლებანი უნდა ჰქონდეთ მამა-კაცებთან. თუ გსურთ, რომ მთელს საფრანგეთსა ჰყვანდეს პალატებში წარმომადგენელნი, თუ გინდათ, რომ ხმის მიცემა მართლა საყოველთაო იყოს, დედა-კაცთ ამომრჩევლითნი უფლებანი უნდა მიანიჭოთ. თქვენ გსურთ გააუქმოთ განსაზღვრული კენჭის ყრა სენატორების ამორჩევაში, გააუქმეთ ამავე დროს განსაზღვრულივე კენჭის ყრა დეპუტატთა ამორჩევაში, მოუწოდეთ დედა-კაცთაც კენჭის საყრელად თანასწორ მამა-კაცებთან.

ჩვენ გთხოვთ, ბატონებო, დაადგინოთ ახალს კონსტიტუციაში პარაგრაფი, რომელიც ანიჭებდეს ქალთა თავიანთ უფლებას. თქვენ ვერ შექმნით რესპუბლიკურს კონსტიტუციას, თუ დაიცავთ კანონებში უთანასწორობას მამა-კაცების და დედა-კაცების უფლებათა, რომელნიც თანასწორნი არიან დანაშაულობისა და სასჯელისა წინაშე. კონსტიტუცია, რომელიც მუდამ ჰყოფს ნაციას ორ ბანაკად — ბანაკად მეფეთა — მამა-კაცთა — მფლობელთა და ბანაკად მონათა — დედა-კაცთა — იქმნება თვით-მპყრობელი და უვარგისი დაწესებულება.

ჩვენ გთხოვთ, ბატონებო, მთელი საფრანგეთის დედა-კაცების სახელობით და როგორადაც მამა-კაცების სასარგებლოდ, აგრეთვე დედა-კაცებისაც, მიეცით თანხმობა, რათა დაადგინოთ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც ანიჭებს ყველას ფრანცუზ-მამაკაცებს და ფრანცუზ დედა-კაცებს ერთ გვარ მოვალეობებთან ერთად ერთ-გვართავე მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებათა: პეტიციაზე აწერია: „დელეგატი ჰუბერტინა ოკლერი“.

სამზღვარ გარედ, განსაკუთრებით ინგლისში, ეს პეტიცია დიდის თანაგრძნობით მიუღიათ ლიბერალურს წრეებში. წარსულ მაისში, ინგლისში სჯა იყო შესახებ პარლამენტში ამორჩევა-

---

ასლანი), რომლის რაღაცა განრისხებაზედ აქედან ჯავახეთს გაქცევია გუთნის-დედა*). იქვე მოჩანს «მეფის სანადირო». ერთი სიტყვით ბიჯი არ არის ამ ადგილს, რომ არ გაგონებდეს წარსულ დიდებულ ჩვენ მკვდრებს! მაგრამ ჰეინესი არ იყოს:

„Не говори мнѣ о мертвыхъ въ мое утѣшеніе, Одиссей!
Я бы лучше желалъ пахать поле, какъ поденьщикъ,
Быть бѣднымъ человѣкомъ безъ вотчины и наслѣдства,
Чѣмъ повелѣвать всѣми мертвыми, которые исчезли съ лица земли“.

ისევ განცხოველებულს, ცოცხალს გარემოს დავაცქერდი. დიაღ, ჩემს გარეშემო ყველაფერი ცოცხალი იყო. ქვა, ბალახი, ხე თითქო ყველა ამათ მაჯის-ცემას გრძნობდა ჩემი გული. თითქო ყველა ჰფეთქავდა ბუნების მშვენიერებით დამთვრალი, ალტაცებული და ბედნიერი. ალაზნის ველზედ ეხლა კი ჯანღის ტალღები შიგა და-შიგ ჩაწყვეტილიყვნენ და ამრეშებით გამოჩნდენ ალაზან გაღმა სოფლები სანიორე, ნაფარეული; ალავერდიც თეთრად კოპწიად გამოიმზირებოდა, თელავი თავისი ბაღჩებით — კრამიტის სახურავებით... გრემი თავისი ნანგრევებით, ნეკრესი თითქო წამოწოლილა ბუნდად მთაზედაო — ზევით თუშთა სამშობლო ღრმად პირ-ღია ხევით. ცოცხლებზედაც ისევ პოეტი ჰეინე მომაგონდა:

«მე შენ გაგჰკრიტე მთლად, გაგჰკრიტე კიდით-კიდემდე, შენობავ ქვეყნის, და ღრმად შთავიხედე შენს გულში. გაქრა ჩემში ყოველივე სიხარული და საუკუნო გოდებამან მოიცვა ჩემი გული. მე ვიმზირები ქვის ქერქში კაცთა შენობათა, კაცთა გულისა და ვხედავ მათში მოტყუებას, სიცრუვეს, ტანჯვას!... საბრალო, მიწავ, მეჰყურება შენი ტანჯვა! მე ვხედავ როგორ დუღს შენს გულში ქვეყნის ნაცარტუტი...»

ამ კაცთა-ნათესავის მოძულე მოძღვრებამა და ფილოსოფიამ რა კი მოხიბლა ჩემი გონების ვარჯიში ამ დიდებულ პანარამის ხილვის დროს მძლავრი ბუნება ტურგენიევისა-მებრ თითქო მკაცრად მეუბნებოდა: — «მე არა მაქვს კაცთან საქმე; მე ვმეფობ და ის კი უნდა ცდილობდეს, რომ არ მოკვდეს». ისე დანგრეულან დიდრონი ქალაქნი, უღვრიათ უგუნურ ხალხთ ნიაღვარისაებ ერთმანეთის სისხლი, დახოცილან დიდი თამარი, გორგასლანი, პატარა კახი... დღესაც კვდებიან ამ მშვენიერ მდელოთა შორის ბუნების შვილნი, გოდავენ, კვნესიან სიღარიბით, შრომით, შეწუხებულნი. და ყოველივე ეს ისე ხდებოდა და ხდება დღესაც, რომ გარშემო ხშირად ატეხილის ტყის ერთი ფოთოლიც არ შენძრეულა და არც შეინძრევა... კაცი ვერ სძლებს რომ დიდხანს შეაყენოს თავისი აზრი და გონება ბუნების სიმძლავრეზე, რადგან სძულს თავის არარაობის, სიფუქსავატის გამოკვლევა: ამიტომ თვით უდიდესი პოეტიც მხოლოდ რამდენსამე ხანს ჰფრენს ალმა და გრძნობს ბუნების სიდიდეს. შემდეგ ისევ მალე უბრუნდება დღიურ წუმპეს... აქ კიდევ კაცს ნება აქვს თავისი თავი რამედ წარმოიდგინოს...

მეც ასე დამემართა. დაფიქრებულს მომადგნენ რვაოდე ცხენოსანნი მწყემსნი. შენი ცხენიც მზად არის, წავიდეთ თელავსაო, — მითხრეს იმათ და გავუდექით გზას*) მწვანე მთების კენწეროებზედ... აი შუა-მთის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ჩადის მშვენიერ ტყეზე დაღმართ-დაღმართ გზი და ჩვენც ცხენებით დავეყუდენით ამ გზას. წინ, ზედ გზის პირას, ტყეში გამოჩნდა მშვენიერი მცირე რამ ტბა, მზემ კავკასიონის მთებს გადმოატანა და „ყური ამოჰყო“. მის შუქზე ტბაში დავიხატე ჯერ მე ჩემი ცხენით და იარაღით, მერე რიგზე მოჰყვნენ ჩემი ცხენიანი თანა-მგზავრნი — გვგონებოდათ ტბაზე მეორე წყება ცხენოსანთა მოდისო... ამ დიდებულმა ბუნების მოვლენამაც სხვასთან ბევრთან ერთად ჩაიარა — ჩვენ ჩავედით თელავს იმ დროს, როცა გარშემო სოფლის ხალხი უშლიდა სალეწად კალოზე ძნას, მომკალი გულგაღეღილი მკიდა და ეშურებოდა დი-

*) ამ გუთნის დედაზე, რომელსაც ვითომ შეჰყვარებია ვახტანგ მეფის მშვენიერი მოსამსახურე ქალი, ხალხს დიდი ლექსი შეუდგენია და ამ ლექსში გამოუთქვამს თავისი აზრი და შეხედულობა გუთანზე, მეფეზე, სიყვარულზე და სხვ. ამ ლექსს სრულად მოვიყვანთ შემდეგ.

*) გზი მთის სახელია.

თა წესის შეცვლისა და ამ დროს იმაზედაც აღძრის კითხვა, რომ დედა-კაცთ მიეცეს უფლება ქვემო პალატაში დეპუტატად ყოფნისა. იმ დროს ზეგრი მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა დედა-კაცების სასარგებლოდ, მაგრამ კონსერვატორები ლამის და ლორდთა პალატა ძლიერ წინააღმდეგნი გაუხდენ ამ მოთხოვნილებას. მჭევე საგანი რამდენიმე წლის წინად ამერიკაშიც აღძრეს, მხლა საფრანგეთშიაც ეს პეტიცია უმნიშვნელოდ დარჩა: არამც თუ ვერსალის კონგრესს, ზოგიერთა პარიჟის ჟურნალ-გაზეთებსაც კი საჭიროდ უცვნიათ უყურადღებოდ დატოვონ და ხმა არ ამოიღონ ამ მოცემებზე საფრანგეთის საზოგადოების ცხოვრებაში.

— ლონდონის კონფერენციის შემდეგ კიდევ გავრცელდა ხმები, რომ სამი იმპერატორი ამ ცოტა ხანში კიდევ ნახავენ ერთმანეთს რომელსამე ქალაქში. ამ ამბის გამო ერთი მენიურ ოფიციოზურ გაზეთთაგანი იწრება შემდეგს: «რაიცა შეეხება ავსტრო-უნგრისათვის რუსეთის აწინდელს დამოკიდებულებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ერთ წარმოდგენით ვერც ერთ საქმეს ბალკანის ნახევარ კუნძულზე, რომელსაც შეეძლოს ჩვენი ერთმანეთის შეთვისება, თუ ცოტათიც არის, დაღუპოს ერთმანეთს. ეს იქნება წარმოდგება, რომ ჩვენი მონარხთა წმინდა კონსერვატულს პოლიტიკას ადვას აღმასრ.. ლეთში. ჩვენი ინტერესები და რუსეთის სამეფოს ინტერესები იქ სრულიად არ ეხებიან ერთმანეთს მტრულად, რადგან მშვიდობიანი და ბუნებრივი წარმატება იმ დამოკიდებულებისა, რომელიც შექმნა ბერლინის ტრაქტატმა ოსმალეთის სამეფოდამ მოშორებული ტერიტორიის ნაწილზე, ერთნაირად სასურველია როგორც ჩვენთვის, აგრეთვე რუსეთისა და ამ ტერიტორიის ნაწილზე ახლად დაარსებულ სახელმწიფოთათვის.»

ამავე საგნის შესახებ ბერლინიდგან მოსულია ერთს პრაგის გაზეთს შემდეგი ტელეგრამა: «ცრუ-წინასწარმეტყველად ნუ ჩამთვლით, თუ გაცნობებთ, რომ რუსეთის შესვლა ავსტრო-გერმანიის კავშირში დაბოლოვებული საქმეა, რომ ამას მხოლოდ ოფიციალურად გამოცხადება-ღა აკლია და რომ დროისა და ადგილის დანიშვნა სამთა იმპერატორის ერთმანეთის სანახავად მინდობილი აქვს იმპერატორს ვილჰელმს».

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

აგვისტოს 21-ს

**პეკინი.** გამოსცეს პროკლამაცია, რომლითაც საფრანგეთს ომს უცხადებენ და ამასთანავე აცხადებენ, რომ ვინც რაიმე ძალადობას ჩაიდენს სხვა რომელიმე ხალხთა წინააღმდეგ, სასტიკად დაისჯებაო.

**ედინბურგი.** აქ გამართულს მიტინგზე გლადსტონმა გაამტყუნა ის აზრი, ვითომც ინგლისი ეჭვიანად უყურებდეს გერმანიას კოლონიზაციის საქმის შესახებ; აგრეთვე გამოაცხადა მწუხარება, რომ კონფერენციის საქმე კარგად ვერ გათავდა და სთქვა, რომ ეგვიპტის პოლიტიკის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, ვიდრემდის ნორსბრუკი და უოლსლეი თვის საქმეს არ შეასრულებენო.

**რომი.** ხოლერიანს პროვინციებში აგვისტოს 31 (ახ. სტ.) ავად გახდა 151 და მოკვდა 45 კაცი; ხოლერა აგრეთვე ნეაპოლშიც გაჩნდა; იქ 40 კაცი გახდა ავად და 20 მათგანი მოკვდა.

**პეშტი.** აქ გავრცელდა ხმები, ვითომც სერბიის მეფის მოკვლა განეძრახოთ; მაგრამ ეს ხმები წარმოსდგებიან იქიდამ, რომ მატარებელმა დაიგვიანა ცუდი ღერძებისაგამო.

**პეტერბურგი.** ზღვის სამინისტროს მმართველი მიდის შავის ზღვის პორტების დასათვალიერებლად. სახალხო განათლების სამინისტროსთან დაწესებული ცალკე კომისია მხნედ განიხილავს პროფესიონალურ სკოლების გავრცელებისა და განვითარების საქმეს. გაზეთი „გოლოსი“ ცნობილ იქმნა სამუდამოდ მოსპობილ გამოცემად.

აგვისტოს 22-ს.

**პეტერბურგი.** „ნოვოე ვრემია“ გვაცნობებს, რომ უნივერსიტეტის წესდება დამტკიცებულ იქმნა აგვისტოს 15 და ყველა უნივერსიტეტებში იწარმოვებს.

**პარიჟი.** ჩინეთის მიერ ომის გამოცხადება ჯერ არ მოსულა; საშუალება მიიღეს სრულის დივიზიის გაგზავნისათვის ჩინეთში.

**ვენა.** აქ მოვიდა სერბიის მეფე-დედოფალი.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

უფასოდ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საზებით, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში უოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 აგვისტოდამ 1 სეკტემბრამდე 1884 წ.

| | |
|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 გირ. 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 გ. $2^1/_2$ |

ლის სიგრილეს—მცელავი სცელდა ბალახს; ერთი სიტყვით სოფელნი ეწეოდენ ზაფხულის უღელს—მომეტებული ნაწილი Თელავის მცხოვრებთა ჯერ ისევ დილის ძილს იყო მიცემული. არ ეძინათ მხოლოდ სვავთ, რომელნიც დაყიალობდენ მოედანზე და უხვდებოდენ სოფლიდან ნაშრომის გასასაღებლად მოსულთ. ჩემი რამდენიმე თანა-მომგზავრენი ჩაუვარდენ მათ კლანჭებში თავიანთ ყველებით და დაიწყო უსიამოვნო სცენა: ყველის კვერეულების ხელის გულზედ ყასიდად წონვა, ცერის დაჭირება, სუნვა, სვავთ ერთი ხელიდან მეორეს ხელში გადასვლა...

— ვა, შე ოხერო, ეს ყველია? ეს ამოდენა ძუა რო კაცმა კუჭში ჩაყლაპოს, ხო დაიხრჩო, შენ სიგძეა,—ეუბნება გამყიდველს სვავი შემთხვევით ყველის კვერეულზე ნაპოვნ ბალანზედ და აზმორებს მას შერცხვენილ მწყემსს ცხვირიდამ ყელამდის.

სინიდისიან მწყემსს სირცხვილით ალმური ასდიოდა სახეზე, რადგან სვავების მიერ სვინიდისის დაკარგვას ვერ მოიფიქრებდა მისი უბირი გონება და ყველები მუქთად და ნახევარ ფასად გადადიოდენ მწყემსის ხურჯინიდან სვავთ ხელში, რომელნიც მიაშურებდენ მათ «შეშვიდათ» თავიანთ დუქნებისკენ...

— Ოჰ, ამოვიოხრე მე.

„ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა“!..

აზუზუნდა ჩემ ყურებთან იდუმალი ჰარმონიით სავსე სიტყვები ჩვენის პოეტისა...

გამოიღვიძეს დანაშთენთ Თელავის მცხოვრებლებმაც. მედიდურად მიხტის ჩინოვნიკი თავის «კანცელარიაში» და...

სოფ. აწყურში იმ სალამოს იმართებოდა წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით. მოპრანჭულნი ქალნი და ვაჟნი იყვნენ სულ-მოუბრუნებელ ალიაქოთში. ზოგ „კავალერს“ ამოეჩარა სედლო და მიარბევინებდა თავის «დამასთვის», ზოგი იჯდა მოშლილ ორთელიანში და მიარახრახებდა თავის ამ გვარივე „ვარდის კონებისთვის“. «ვარდის კონების» შეშფოთებითი სახეებიც წამდაუწუმ ჩნდებოდენ ბალკონებში და მოუთმენლად პროწიალობდენ. ჩემი ვაგლახნი წინად-გრძნობანი ამ ალიაქოთის სარჩულად წარმოდგენის საქველ-მოქმედო აზრს არა ჰხდიდა—ბ. არტურ ლეისტის მწარე მოსაზრებანი ჰხიბლავდენ ჩემ გულს... საქართველოს ზედა წრე მისდევს გარეგნულად ევროპიულ ცივილიზაციას,—მაგონებდა მე ამ ნემეცის სიტყვები,—ტანსაცმელს, ბალს, ცეკვას და ევროპიული შინაარსისა „ინჩიც“ არ უნდა გაიგოსო... მაგრამ არ ვაწყენინებ არავის... Დაბრუნებულნი აწყურიდან ალტაცებით იხსენიებდენ ქალს მ—სას, რომლის თამაში და უფრო ლეკური ისეთი იყო, რომ ქართლ-კახეთში თანასწორი არ ეყოლებაო.

სალამო იყო. მე ვიჯექ მშვენივრად გადმოკიდულ Თელავის ბაღის პირში სასტუმროს ბალკონზედ. აწყურში წასულთა მიერ დაობლებული Თელავის საზოგადოება თავის გამოჩენილ „ნადიკვარზე“ აღარ გასულიყო ამ სალამოს და დაყიალობდა ბაღში. აქ დააბოტებდა Თელავის „ბოძი“ ბ—ი, თეთრად ევროპიულად მოკაზმული.

— «ვა, ეისაც ქალაქში პადვალი უნდა—ჩესტნობაა ძაან იმისთვის საქირო და»!—«მაშ ჩესტნობაა პირველი და»! უკრამდა კვერს ბ—ს მისივე ამქარი და დამქაში Თელაველი «ვ—ყბას მონათესავე». ეს სვაობის კოკრიდან გადაშლილნი ვარდნი, მიკვირდა, რად დაჰკლებოდენ აწყურს; მაგრამ მოსაქმე კაცს სად სცალიან სათეატროდ,—მოფიქრების შემდეგ ეს ვერაფრად მესაბუთა, რადგან ბ. ბ—ი თავის «რეჩშიაც» თავის საქველ-მოქმედო საქმეებზედ ლაპარაკობდა—აწყურშიაც საქველ-მოქმედო საქმე...

ვა, მართლა,—ამოვიკვნესე მე,—ამის თხა და ბ. როსტომაშვილის სკოლა, რომლის სასარგებლოდაც იყო წარმოდგენა, ერთად ვერ თავსდებიან-მეთქი. Იქნება, ამ «სვაობის თაიგულს» გარსმორჭმულს «ვ—ს ყბათა» ძალით, ძრიელ მოქიშპედ მიაჩნდეს ის დაბალი პატიოსნებით და ენერგიით სავსე ადამიანი, რომელსაც „ვ—ა—ნ—ო—დ“ უწოდებენ. Იქნება, ძილს უფთხობს ის ჯერ-ედ პატარა, მაგრამ მშვენივრად დაყენებული «დეპო» „ბანკი“?! ჰო, «სვავთ თაიგულნო»! იგულისხმეთ...

მაქრო.

| | | |
|---|---|---|
| მეორისა — — | —1 გ. | 2 გ. |

იმავე ფქვილ. თოფრეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გ. | 4½ |
| მეორისა — | —1 გ. | 3 გ. |
| მესამისა — — | —1 გ. | 2 |

ჭვავისა-მამა პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | 4½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 3½ |
| მესამისა — — | —1 გ. | 3 გ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 7 გ. |
| მეორისა — — | —1 გ. | 6 გ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 14 გ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 გ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | — გ. |
| მეორისა — — | —1 გ. | — გ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო საჩხერამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საჩხერიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (ხუთშაბათობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)


## განცხადებანი

ვისრამიანი

და

განდეგილი

პოემა თ. ი. ჭავჭავაძისა

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგა-დოების" კანცელარიაში, სადაც ეგრეთვე „ივერიის" რედაქციაში. (სამიოხსნით...

გის ქუჩა, ნაზაროვის სახლი 1-ლი გიმ-ნაზიის უკან.)

ფასი „ვისრამიანისა" 1 მან. 50 კ.
გაგზავნით — — — 1 მან. 70 კ.
„განდეგილისა" — „ 15 კ.
გაგზავნით — — — — 20 კ.

წიგნის მაღაზიებს ნაკლებად დაეთმო-ბათ. (10—1)

### ქუთაისის პროგიმნაზიის ინსპექ-ტორი

უმორჩილესად აცნობებს მშობ-ლებს, ნათესავებს და პატრონებს ყმაწ-ვილებისას, რომელნიც ამ პროგიმნაზიაში სწავლობენ, რომ თანხმად სახალხო განათლების მინისტრის წინადადებისა, № 10461, 25 წარსული იულისიდ-გან ამა 1884 წლისა, რაოდენობა სწავლისათვის გადასახადი ფულისა პროგიმნაზიაში გადიდდება ამ გვარად: მოსამზადებელ კლასში 10-დგან—16 მანეთი, დანარჩენ კლასებში 12-დგან—20 მანეთი წელიწადში თითოეულ შეგირდზედ. ამიტომ ქუთაისის პრო-გიმნაზიის მთავრობა უმორჩილესად სთხოვს მშობლებს და ნათესავებს იმ ყმაწვილებისას, რომელნიც ამ პროგიმნა-ზიაში სწავლობენ, ეგრეთვე სასწავლე-ბელში მოყვანის დროს, ამ აგვისტოს ოციდგან, წარმოადგინონ მომავალი 1884/5 წლის სწავლისათვის გადასახა-დი ფული ნახევარი, იმ რაოდენო-ბით, როგორც არის დადგინებული სახალხო განათლების მინისტრის უკ-ვე ნახსენები განკარგულებით, სახელ-დობრ: მოსამზადებელ კლასში რვა (8), ხოლო დანარჩენ კლასებში ათ-ათი მანათი თითოეულ შეგირდზედ. (3—2)

### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1--60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

აქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თო-ფები, რევოლვერები, კრიოტები, ჩუ-ბუქები, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, ქამრები, ქოლგები, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბე-ბი, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახო-ცები, მაგარტომის კალოშები—სუ-ფთეველზედ 25-დამ 50 პროცენტით უფ-რო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მა-ღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოი-წერს, გასაგზავნის ხარჯებს არ აძ-ლევს. (100—56)

### კბილის ექიმი

ბ. არნშტეინი

მიიღებს ავადმყოფებს დილით 10 საათიდამ საღამოს 6-ს საათამდე მო-ლოდინის პროსპექტზედ, მირზოევის სახლში, რომელიც უწინ ბელიოსის იყო. (10—5)

OXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOX

## აფთიაქი

აივაზოვისა გადაღმა ერევნის მოედანზე სამოქალაქო სახლში.

(10—3) არენდატორი მ. ადამოვი.

OXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOX

### არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კან-ტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—19)

### შენახვა ჩრჩილისა და ხუხანკალისაგან.

ნაფტალინი (ქაფური) ჩრჩილის გამწყობი წყალი, სპარსული და დალმატიური პაროშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლანც-სახამებელი, ლილა და სხვა-ნი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან თბილისში, სააფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—46)

გამოვიდა

ცალკე წიგნად

სამგვარი სიყვარული

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების" რედაქციის გამოცემა)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ოც ეგზემპლიარზედ მეტს იყი-დის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება თბილისში გრიქუ-როვის წიგნის მაღაზიაში, შავერდო-ვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღა-ზიაში. ქუთაისში ჯილაძეების წიგ-ნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნა-თაძესთან, თელავში, საზოგადოე-ბის დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძ-ლება აგრეთვე «დროების» რედაქცია-შიაც. (10—2)

### ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრძნლედ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუ-შისა 2 მან., გაგზავნით 2 მა-ნეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტჩები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპო-ნი, დუხები და სხვ.

(100—61)

დაიბეჭდა და ისყიდება

თბილისის და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

## ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა,

თქმულნი 1860—76 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მესამე,

ფასი მანათ-ნახევარი

თბილისიდგან ამ წიგნის დაბარება შეიძლება ასე: Въ Тифлисъ, въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова. ქუ-თაისიდგან — იმერეთის ეპისკოპოზის კანცელარიიდგან. (10—4)


*Доз. ценз. Тифлисъ, 22 Августа 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი